

გლობალური დათბობის გავლენა ვაზის ჯიშებზე

მაია მელაძე

ელ-ფოსტა: maia.meladze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

კლიმატის გლობალური დათბობა XX საუკუნის განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში გამოვლინდა. ეს პროცესი XXI საუკუნის დასაწყისიდან კვლავ გრძელდება და დიდ საფრთხეს უქმნის დედამიწაზე არსებულ მილიონობით წლების წინ ჩამოყალიბებულ ეკოლოგიურ წონასწორობას. მკვლევართა დასკვნებით, ბიოსფეროში მიმდინარე ანომალური ეკოლოგიური მოვლენები გამოწვეულია გაუთვალისწინებელი ანთროპოგენური ქმედებებით.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს გლობალური დათბობის გამძაფრება.

საუკუნოვანი ტემპერატურის, თუნდაც 1°C -ით გაზრდას შეიძლება ჰქონდეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეკონომიკის სხვადასხვა დარგების და კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ტემპერატურების არაერთგვაროვანი ცვლილების გათვალისწინება აუცილებელია, რადგან მატების ან შემცირების ტენდენცია თუ კვლავაც გაგრძელდა, იგი მნიშვნელოვნად იმოქმედებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე; მაგალითად, აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობაზე და მათი გავრცელების აგროკლიმატურ ზონებზე. ზემოაღნიშნულს მოყვება ზოგადად ეკონომიკის და მათ შორის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სტრატეგიის შეცვლა.

საქართველოში ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებიდან გამომდინარე, გამოვლენილია აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურის შედარებით მეტი მატების ტენდენცია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ამიტომ დასავლეთ საქართველოში შემუშავებული სცენარის მიხედვით ვითვალისწინებთ ტემპერატურის 1°C -ით მატებას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 2°C -ით მატებას. ამ სცენარის ანალიზისა და დამუშავების შედეგად გამოირკვა, რომ დასავლეთ საქართველოში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მატება საშუალოდ შეადგენს $180-200^{\circ}\text{C}$ და ოდნავ მეტს, აღმოსავლეთ საქართველოში $350-400^{\circ}\text{C}$ და ოდნავ მეტს.

აღნიშნული ტემპერატურების მატების მიხედვით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის გამოყოფილი იქნა ვაზის შესაბამისი გავრცელების ზონები. პირველ ზონაში, სადაც ტემპერატურათა ჯამი 3500°C და მეტია, შეიძლება ყველა ვაზის ჯიშის წარმოება (საადრეო - პინო, კაჟიჟი და სხვა; საშუალო სიმწიფის - საფერავი, მანავის მწვანე, ოჯალეში, ალიგოტე და სხვა; საგვიანო - რქაწითელი, ცოლიკაური, მწვანე, ჩხავერი, იზაბელა და სხვა). მეორე ზონაში ტემპერატურის ჯამი 3000°C და მეტია. ამ ზონაში შეიძლება მხოლოდ საშუალო სიმწიფის და საადრეო ვაზის ჯიშების წარმოება. რაც შეეხება მესამე ზონას, აქ ტემპერატურის ჯამი შეადგენს 2500°C და მეტს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ საადრეო ვაზის ჯიშების წარმოება.